



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა და
საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე დანიშვნის შესახებ

10 ნოემბერი, 2020 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
მოსამართლე: გია ბერაია

აპელანტი (მოსარჩელე) - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსათვის“

მოწინააღმდეგე მხარე - №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისია

მესამე პირები - №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის N03.03.93, N03.03.53, N03.03.68, N03.03.27, N03.03.25, N03.03.29, N03.03.46, N03.03.60, N03.03.56, N03.03.15, N03.03.18, N03.03.85, N03.03.79, N03.03.61, N03.03.13, N03.03.41, N03.03.52, N03.03.65, N03.03.77, N03.03.81, N03.03.90, N03.03.91, N03.03.92, N03.03.94, N03.03.95, N03.03.96, N03.03.97 საარჩევნო უბნები

დავის საგანი - №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 5 ნოემბრის N45/2020 განკარგულების ბათილად ცნობა, საჩივრის განხილვის დავალება, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოც

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება

ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 8

ნოემბრის გადაწყვეტილებით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსათვის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსათვის“ წარმომადგენლებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა გაეცნო სააპელაციო საჩივარს, თანდართულ მასალებს და მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი მიღებული უნდა იქნეს განსახილველად, რადგან წარმოდგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლისა და საქართველოს საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის 1²-ე მუხლის თანახმად „ა“ ქვეპუნქტის თანახმად სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენის გარეშე თუ: სააპელაციო საჩივარი ემყარება კანონის დარღვევას და მასში მოთხოვნილია გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმება.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის შესწავლის შედეგად, სააპელაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის 1³-ელი ნაწილის თანახმად, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს. სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თარიღის შესახებ.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა ხელმძღვანელობს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 34-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე, 364-ე, 368-ე, 372-373-ე, 414-ე მუხლებით და

ა დ გ ე ნ ს:

1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსათვის“ სააპელაციო საჩივარი მიღებული იქნეს განსახილველად.
2. საქმის განხილვა დაინიშნოს 2020 წლის 10 ნოემბერს 14:30 საათზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოში, თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. 7ა, ზეპირი მოსმენის გარეშე;
3. მოწინააღმდეგე მხარეს გაეგზავნოს სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლი და განესაზღვროს ვადა სააპელაციო საჩივრის ასლის ჩაბარებიდან

2020 წლის 10 ნოემბრის 13:00 საათამდე სააპელაციო შესაგებლის შემოსატანად;
4. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე:



გია ბერია